საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/280 „9" დეკემბერი 2016 წ.

# გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

**საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთათვის დანამატის განსაზღვრის შესახებ**

1. „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთათვის თანამდებობრივ სარგოზე დანამატის განსაზღვრისა და საცხოვრებელი ფართობით უზრუნველყოფის ხარჯების ანაზღაურების წესის შესახებ" საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2008 წლის 8 მაისის №1/87 გადაწყვეტილების მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეებს 2016 წლის დეკემბრის თვეში, მოქმედ ყოველთვიურ დანამატთან ერთად, თანამდებობრივ სარგოზე დანამატი განესაზღვროთ თანამდებობრივი სარგოს 100%-ის ოდენობით.

2. საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან არსებულმა სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტმა უზრუნველყოს ამ გადაწყვეტილებით დადგენილი დანამატის გაცემა.

ლევან მურუსიძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი